აკადემიური წერის ცენტრი
THE CENTRE FOR ACADEMIC WRITING

ილიაუნის პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი

მიღება კემბრიჯის IELTS ტესტის კადემიური მოდულის ჩასაბარებლად მოსამზადებელ სასერტიფიკატო კურსზე



ტრენერები

თამარ მექოშვილი

თამარ მექოშვილი მაგისტრია ინგლისური ენის სწავლების თეორიისა და პრაქტიკის მიმართულებით. იგი კემბრიჯის CELTA სერტიფიკატის მფლობელია; ლონდონში გაიარა ინგლისური ენის სწავლების კურსი და ბარსელონაში – DELTA მეორე მოდული. შემდგომ წარჩინებით დაასრულა DELTA მესამე მოდული. მისი საკვალიფიკაციო ნაშრომი ეხებოდა IELTS საგამოცდო მოკლევადიანი კურსის დაგეგმვა–განხორციელება–შეფასებას.

2008 წლიდან ჯერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა ზოგად და ბიზნესინგლისურს, შემდგომ ინგლისური ენის ინსტრუქტორად მუშაობდა შუა აღმოსავლეთის ამერიკულ უნივერსიტეტში (ქუვეითი), სადაც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს უკითხავდა აკადემიური წერის კურსს. ამის შემდეგ თამარი დაბრუნდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში როგორც ზოგადი და ბიზნესინგლისურის მასწავლებელი, მასწავლებელთა გუნდის ხელმძღვანელი. ასევე თანამშრომლობდა ბრიტანეთის საბჭოსთან საქართველოში და მათ ენების ცენტრში ატარებდა IELTS 60-საათიან კურსებს. დღეს IELTS ჯგუფებს ასწავლის ინგლისური ენის ცენტრში Lingua Lab; ასევე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია, მიჰყავს ბიზნესინგლისურის (C1) კურსი, ასევე მაგისტრანტებთან ერთსემესტრიანი IELTS კურსი.

მაია როგავა

მაია როგავა არის ფილოლოგი, პროფესორი ბიზნესინგლისურისა და აკადემიური ინგლისურის სწავლების მიმართულებით. ფლობს ინგლისურის, როგორც უცხო ენისა და ბიზნესინგლისურის მასწავლებლის საერთაშორისო კვალიფიკაციას, ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ტრენერი და მენტორია; ასევე არის კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისურ ენაში საერთაშორისო გამოცდების საუბრის ნაწილის გამომცდელი.

მას აქვს პროფესიული ინგლისურისა და კემბრიჯის ინგლისურ ენაში სხვადასხვა გამოცდისთვის მოსამზადებელი პროგრამების (FCE, CAE, BECs, ILEC, IELTS) შექმნის, მართვისა და სწავლების 24-წლიანი გამოცდილება. წლების მანძილზე იყო საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს კონსულტანტი ინგლისური ენის სწავლების პროექტებში, ასევე მათი ტრენერი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს 2010 წლიდან. 2014 წლიდან ამ წელს შექმნილი აკადემიური წერის ცენტრის დირექტორია, ხოლო 2018 წლიდან ზოგადი მოდულის ინგლისურის სწავლების პროგრამის აკადემიურ ნაწილს ხელმძღვანელობს. უნივერსიტეტში ასწავლის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტებს აკადემიურ ინგლისურს და აკადემიურ წერას ინგლისურ ენაზე. ასევე ხელმძღვანელობს აკადემიური წერის ცენტრის ყველა ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამას აკადემიურ წერაში და პროფესიული ინგლისურის (ბიზნესინგლისური და იურიდიული ინგლისური) სწავლების პროგრამებს.